საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ოთხშაბათი, 11 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 14 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 14

### რედაქციის შენიშვნა.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში (13) რ. კ. წერილზე შეცდომით შენიშვნის გაკეთება გამოგვრჩა. შენიშვნა შემდეგში მდგომარეობს: ავტორის ზოგ აზრს რედაქცია არ იზიარებს.

რედაქცია.

## დაშნაკელების გამოფხიზლება

სომხეთის დელეგაციამ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთან—ლეგრანთან ერთად ხელი მოაწერა ზავის წინასწარ პირობებს. სომხეთს გაყავს თავისი ჯარები ყარაბახ-ზანგეზურიდან და ნახიჩევანიდან, რუსეთი იკავებს თავისი ჯარით ამ ადგილებს, რომელიც სადაოდ ცხადდება. ყველას გაახარებს ასეთი, თუმცა დაგვიანებული გამოფხიზლება, სომხეთის მმართველ პარტიის, ყველას გაახარებს ამბავი ყოვლად უაზრო შეტაკებების, რომლებსაც ადგილი ქონდა სომხეთის და რუსეთის ჯარებს ერთმანეთთან, და რომლებიც გამოწვეული იყო დაშნაკების ჯიუტობით, რასაც სარჩულად ედვა სადაო საკითხების გადაწყვეტის მოსწრებით და იარაღით წადილი, და ასეთი წადილი კი გამოწვეული იყო ანტანტის ჩურჩულით.

დაიღვარა სისხლი როგორც სომხის ჯარისკაცების, ისე წითელ არმიელების, შეტაკებები გახშირდა, მარა ბოლოს დაშნაკელები იძულებული შეიქნენ ხელი აეღოთ სადაო საზღვრების იარაღით დადგენაზე. ესაა საბჭოთა რუსეთის ახალი გამარჯვება, როგორც მშვიდობის მყოფელის და შემარიგებელის, წვრილი ერების დამხმარის და გამათავისუფლებელის. შეწყდა ერთმანეთის ჟლეტა სომხებსა და თათრებს შუა, შეწყდა უმიზნო სისხლის ღვრა, საშვილიშვილოდ მტრობის და შუღლის თესვა: საბჭოთა რუსეთის ჯარი იკავებს აზერბაიჯანსა და სომხეთის სადაო ადგილებს, დარაჯათ უდგება მშვიდობიანობას, იცავს ადგილობრივ მცხოვრებლებს განადგურებისაგან, საშუალებას აძლევს პოლიტიკის პატრონებს დამშვიდებული მოლაპარაკება გამართონ სადაო საკითხების გადაწყვეტის მოსამზადებლად.

ამას ვუსურვებდით ჩვენ ამას წინეთ სომხეთის და თათრების მშრომელ ხალხს და სწორედ ასედაც მოხდა, მოხდა თვით დაშნაკელთა სურვილის მიხედვითაც. სჩანს სომხეთის ნაწილები არავის უჩუქებია არც ოსმალეთისათვის და არც სხვა ვისმესთვის—სომხის თუ თათრის მშრომელი ხალხის კუთვნილება მათვე დაუბრუნდებათ, და დაუბრუნდებათ ისე მკვიდრათ სამფლობელოდ, რომ ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს მათ შორის მტრობის გაღვივებას საზღვრების გამო. და ის პარტიაც, რომელიც ხალხთა შორის შუღლზე და მტრობაზე აშენებს თავის პოლიტიკას და თავის ბატონობას, იძულებული გახდება ან სულ ერთიანად შესცვალოს თავისი მოქმედების ხაზი, ანდა თავის ხელითვე გაითხაროს საფლავი ისტორიის სასაფლაოზე.

## ჩვენი პარტია

დღეს ჩვენი პარტია უმაგალითო ბრძოლას იხდის თავისი არსებობის განსამტკიცებლათ, თავისი ლეგალობის მოსაპოებლათ. ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ წელში იზნიქება ის მთავრობის უსასტიკესი ზომების ტვირთ ქვეშ, რომ მისთვის სანატრელი ხილია პრესის და კრების თავისუფლება, რომ უდიერათ იკეტება მისი გავლენის ქვეშ მყოფი პროფესიონალური კავშირები, რომ ის იძულებულია შიმშილით გააცხადოს პროტესტი მთავრობის თვითნებობის წინააღმდეგ და ამ შიმშილობის დროს მას თანაგრძნობით ვერ ეხმაურება ლაგამ-მოდებული მშრომელი ხალხი—ყველა ეს საბაბია ჩვენი მტრების ხელში ცინიკური ხითხითით დაასკვნან ჩვენი უნიადაგობა საქართველოში და უდავოთ გამოაცხადონ, რომ საქართველოს მუშათა კლასი ჩვენს პარტიას არ თანაუგრძნობს.

ბოლშევიზმის უნიადაგობა! ეს იმ ქვეყანაში, სადაც ათას კაცისაგან შემდგარი კედიას განსაკუთრებული რაზმი პარტოთ მარტო ბოლშევიზმის ამოსაფხვრელათ მუშაობს; სადაც მრავალი მილიონი უანგარიშოთ დაიხარჯა და იხარჯება „ანარქიასთან“ ე. ი. ბოლშევიზმთან საბრძოლველათ; სადაც ყოველი გამოსვლა ყველა პასუხისმგებელ და უპასუხისმგებლო პირებისა იწყება და თავდება ბოლშევიზმის შეჩვენებით; სადაც ჟურნალ-გაზეთების, კრებების და მიტინგების ერთათ-ერთ სულიერ წყაროს მხოლოთ და მხოლოთ ბოლშევიზმის გინება შეადგენს... ან კი რამდენი უნდა მოვთვალოთ. არა, უნიადაგო მოძრაობა ამდენ გაზოროტებას, ამდენ ესკრგიის ხარჯვას ვერ გამოიწვევდა, როგორსაც იწვევს ჩვენს მტრებში ჩვენი პარტია და მისი მოქმედება.

სწორეთ ის გარემოება, რომ ჩვენ მეტათ ნაყოფიერი ნიადაგი გვაქვს და ძლიერ საფუძვლიანათ აქ შეგვიძლია გავმაგრდეთ ქართველ ხალხში, — ვიქცეთ მთელი ცხოვრების ერთ უძლიერეს ფაქტორათ, მოსვენებას უკარგავს ჩვენს მტრებს, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ ისეთ ბარბაროსობას სჩადიან, რომლის მსგავსი, სამოქალაქო ომის გარეშე, არც ერთ ქვეყანას არ გამოუცდია. ჩვენ აქ, მეათასეთ, განსაკუთრებულათ აღვნიშნავთ, რომ ჩვენ არ ვაწარმოებთ სამოქალაქო ომს, და მხოლოთ იდეური ხასიათის იარაღით ვკმაყოფილდებით, ხოლო მთავრობა კი მთელი ძალ-ღონით აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ დაუზოგავ გამანადგურებელ სამოქალაქო ომს და პირდაპირ ფიზიკური ამოწყვეტით სურს ბოლო მოუღოს ჩვენს არსებობას.

ყველასათვის აშკარაა, რომ დღეს ჩვენი პარტიის კადრები უკვე მზათ არის და სავსებით მომწიფებულია იგი იმისთვის, რომ აწარმოვოს სისტემატიური, მძიმე ყოველდღიური მუშაობა ლეგალურ ნიადაგზე. ავალაპარაკოთ ფაქტები.

მენშევიკების პარტიას არასოდეს არ მოსწრებია რევოლიუციის წინ ამდენი თავდადებული პარტიული მუშაკი, რამდენიც დღეს ჩვენ, გაცილებით უარეს პირობებში მოგვეპოება. მარტო მეტეხის ციხეც რომ ავიღოთ, მის საკანს არასოდეს არ უნახავს იმდენი მენშევიკი მუშა, რამდენიც პატიმარიც მარტო უკანასკნელ წელიწადში ბოლშევიკ-მუშების სახით იქ მოთავსებული იყო. საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობის ძალით საქართველოს ციხეებიდგან ათასამდე დატუსაღებული ბოლშევიკი განთავისუფლდა. ათასი კაცი! განა გადაჭარბებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ მენშევიკების პარტია ვერასოდეს ვერ აიტანდა ამის ნახევარ მსხვერპლსაც?

ამით არ განისაზღვრება ჩვენი პარტიული ძალები. ქართველი კომუნისტები, რომელთაც შეეძლოთ საქართველოს ტერიტორიაზე მეტათ ნაყოფიერათ ემოქმედათ, დღეს მრავლათ მოღვაწეობენ საბჭოთა რუსეთში, სადაც მათ თავდადებული მუშაობით დიდი სახელი აქვთ მოხვეჭილი და მეტათ საპატიო თანამდებობაც აბარიათ, ჩვენ შეგვეძლო ისინიც ჩაგვება ჩვენს პარტიულ მუშაობაში, რომ მთავრობა შეუძლებელს არა ხდიდეს აქ მყოფ კომუნისტთა სრულიად ლოიალურ მოქმედებას. მაინც ეს ძალები ჩვენი ძალებია, ხოლო „ყოვლის შემძლე“ მენშევიკების პარტიას სრულიად არ მოეპოვება სხვის ტერიტორიაზე მომუშავე თავისი პარტიის წევრები.

გავშინჯოთ საქმე იდეიური მხრით, რაღაც ორი თვეა, რაც ჩვენი გაზეთი, ორჯერ დაკეტვა-აწიოკების შემდეგ გამოდის. გამოდის აუტანელ პირობებში, როდესაც უთვალთვალებდენ რედაქტორებს, მდივნებს და უმთავრეს თანამშრომლებს, რომლებსაც ერთი-მეორის მიყოლით ატუსაღებენ და ლიტერატურულ მუშაობის შეძლებას უსპობენ. ასეთ პირობებში მაინც შესძლო გაზეთმა მრავალი პრინციპიალური საკითხი გაეშუქებია და ამტყდარ კამათის დროს მთელი რაზმი რუსულ-ქართულ გაზეთებისა ღირსეულად მოეგერებია. განა ვისთვისმე საეჭვოა მენშევიკების ლიტერატურული ლიდერის ბ. დევდარიანის სასტიკი დამარცხება, რომელიც მან განიცადა ამხ. კასპიელთან კამათის დროს?

ამასთანავე ჩვენ ვერ დავფარავთ ერთ დიდ ნაკლს, რომელიც დღეს-დღეობით უეჭველად ახლავს ჩვენს პარტიას. თუმცა, სწორედ რომ ვთქვათ, ეს იმდენად ნაკლი არ არის, რამდენადაც აუცილებელი ბოროტება, დღევანდელი ჩვენი საერთო მდგომარეობიდან და უმთავრესად კი მთავრობის დევნიდან წარმომდგარი. ეს ბოროტება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ დღემდე ვერ მოგვიხერხებია გავსცდეთ წმინდა თეორეტიულ-პრინციპიალურ საკითხებს და შევიჭრათ პარტიულ-საქმიანობის სფეროში, გავაშუქოთ და გავატაროთ იქ წარმომდგარი ყოველდღიური საკითხები და ამნაირად მტკიცე ადგილი მოვიპოვოთ თანამედროვე ცხოვრების ცვალებად ტრიალში.

ყოველივე ეს თავის აუცილებელ პირობათ გულისხმობს დაწვრილებით შემუშავებულ სამოქმედო გეგმას, რაიცა შეადგენს პარტიული სიეზდის—ამ უმაღლესი ორგანოს საგანს. სწორეთ ამ პარტიული სიეზდის მოწვევა შეიქმნა შეუძლებელი მთავრობის რეპრესიების გამო. მთელი მისი ენერგია სწორედ იქითკენ იყო მიმართული, რომ ეს სიეზდი არ შემდგარიყო და როგორც ვხედავთ, მან ამ მხრით მიაღწია თავის მიზანს.

ჩვენი პარტიის შინაგანი მდგომარეობა, მისი ძალების ვითარება, მისი წმინდა-მუშური შემადგენლობა და ხანგრძლივ ბრძოლაში მოპოებული გამოცდილება წარმოადგენს იმის უეჭველ საბუთს, რომ იგი გიდიქცეს მძლავრ ფაქტორათ იმ ქართველი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში, რომელიც ექვს გარეშეა ჩვენს სასარგებლოთ არის განწყობილი. ამას წინ ეღობება ერთი დიდი დაბრკოლება—თავით ფეხამდე შეიარაღებული მტერი, რომელიც თავის ბატონობის უზრუნველსაყოფათ გაშმაგებით გვებრძვის და გზას გვიკრავს ლეგალური ასპარეზისკენ. ამ ბრძოლაში ის ემყარება უხეშ და ბარბაროსულ ზომებს, რომლებსაც საბოლოო მიზნათ აქვთ გასწმინდონ საქართველოს ტერიტორია კომუნისტებისაგან გადასახლების, დატუსაღების, თუ სხვაგვარი ფიზიკური ზეგავლენის საშუალებით.

ჩვენს პარტიაზე სასიკვდილო ცელია მოქნეული. მაგრამ კუდიან ისტორიას ბევრი ასეთი ცელი დაუმსხვრევია და ან ის სულ სხვა გზით მიუმართავს.

განვაგრძოთ მუშაობა! ჩვენ საკმარისი ვართ, რომ კულტურული გზით დავსძლიოთ მოწინააღმდეგეთა ძალები, მაგრამ კბილებამდი შეიარაღებული მტერი გასაქანს არ გვაძლევს და ერთ ალაგს გვატკეპნიებს. ჩვენ განმარტოებული ვართ და გარშემო მოჯადოებული რკალი გვაქვს შემორტყმული. მაგრამ ჩვენ ნაწილი ვართ იმ დიადი მთელისა, რომელიც მსოფლიოს რეაქციას ებრძვის და ამარცხებს. ადგილობრივი რეაქციაც ორგანიული ნაწილია მსოფლიო რეაქციისა და ამ უკანასკნელის მოტეხასთან ერთად ისიც მოტყდება. უკვე ისმის მისი სასიკვდილო ხრიალი. ისტორია ჩვენს სასარგებლოთ მუშაობს.

## ადგილობრივი პრესა

მელას რაც აგონდებოდა ის ესიზმრებოდა. „ერთობას“ აგერ სამი წელიწადია კიდეც აგონდება და კიდეც ესიზმრება ბოლშევიზმის „გაკოტრება“, „თავის პრინციპებზე“ ხელის აღება, „მოშინაურება“ და სხ. ასეთი. მოკრავს ყურს სადმე და რასმე—უკვე მზათ აქვს სასიხარულო ამბავი: ბოლშევიკები გამემარჯვენდენ, ბურჟუაზ. დემოკრატებათ გახდომა გადაუწყვეტიათო. ჯერ კიდევ 1918 წ. გამოქვეყნებულ იქნა ლენინის დეპეშა—ვალებს გადვიხდით, კონცესიებს გავცემთ საზღვარ გარეთის ბურჟუაზიაზეო. არავის არ დაუჯერებია ეს დეპეშა, თვით საფრანგეთის მევახშეებმა კბილების კრაჭუნი დაიწყეს ბრაზისაგან—კარგათ ვიცით, რით და რას გადაგვიხდიან ბოლშევიკებიო, და უფრო დენიკინის იმედი ქონდათ. სამაგიეროთ საფრანგეთის მევახშეების მაგიერ „ერთობამ“ გაიხარა მაშინ და ქუდი ცას ისროლა, ბოლშევიკები გაკოტრდენო. მარა მას შემდეგ ორ წელზე მეტმა გაირა და ვალი არავის გადაუხდია. ახლა ცნობა მოვიდა—რუსეთი მარტო ვალების ერთი მეოთხედის გადახდას ყაბულდებაო და „ერთობაც“ იწვის მოუთმენლობით, ვალის გადამხდელ ბოლშევიკების მორიგი გაკოტრება და მათ მიერ გაღებულ უდიდეს მსხვერპლზე ამცნოს ქვეყანას.

„უმთავრესი მსხვერპლი იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა რუსეთი თანახმა ხდება გადაიხადოს ის ვალი რომელიც რუსეთს დაედო ევროპის სახელმწიფოებისადმი (25 პროცენტი „ერთობამ“ უცბად 100 პროც. აქცია!)

„ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დაწყებამდის ამ ვალს ერთი თვალსაჩინო ადგილი ეჭირა რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტის იმ ნაწილში, რომელიც გასავალს შეეხება. ომის განმავლობაში ეს ვალი იმდენად გაიზარდა, რომ მისი სარგებლის გადახდა, უნდა ვიფიქროთ, რუსეთის გასავალში შეადგენს უდიდეს ხარჯთაგანს. მაშასადამე, უბრალო ფინანსიური თვალსაზრისითაც რომ გავსინჯოთ ეს დათმობა, უნდა ვაღიაროთ, რომ იგი იმისი მომასწავებელია, რომ საბჭოთა რუსეთი გადაიქცევა ევროპის სახელმწიფოების მუდმივ მოხარკეთ ისე, როგორც მათ მოხარკეთ არიან გადაქცეულნი კოლონიები. რუსეთი რამდენადმე რევოლიუციამდისაც იყო ევროპის საწველ ფურად გადაქცეული. რუსეთის წარმოების უდიდესი ნაწილი ევროპის კაპიტალზე იყო დაყრდნობილი და რუსეთის მუშის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების უდიდესი ნაწილიც ევროპაში მიდიოდა. მაგრამ ევროპის მიერ რუსეთის ძალების გამოწვოვა ამიერიდან, საბჭოთა წესების დროსაც, თვითმპყრობელობის დროსთან შედარებითაც კი ბევრათ უფრო გაიზრდება და, მაშასადამე, „სოციალისტური“ და „კომუნისტური“ რუსეთი უფრო მეტათ იქნება გადაქცეული ევროპის მოხარკეთ, ვიდრე თვითმპყრობელობის დროის რუსეთი“.

რაკი ასე ადვილად მიუჩინა რუსეთის ადგილი კოლონიებში, „ერთობა“ არ ივიწყებს პოლიტიკურ გაკოტრების გახსენებასა:

„მაგრამ რუსეთის ფინანსიური ჩავვერით არ თავდება საქმე. თუ საბჭოთა რუსეთსა და ანტანტას შორის შეთანხმება მოხდა და თუ ამ შეთანხმებაში ერთ-ერთ პირობათ შევიდა რუსეთის მიერ ვალების გადახდა, ეს იქნება უდიდესი პოლიტიკური გაკოტრება ბოლშევიზმისა“.

პოლიტიკურ კრახს როგორ შეიძლება პრინციპიალურიც არ მიაყოლოს პრინციპებისაგან დაცალიერებულ გაზეთმა

„ფაქტი იმის მომასწავებელია, რომ საბჭოთა რუსეთი თანხმდება თავისი პოლიტიკის პრინციპიალურ შეცვლაზე; ეს იმის მომასწავებელია, რომ საბჭოთა რუსეთი ამიერიდან უარს ამბობს იმ „ულმობელ“ პოლიტიკაზე, რომელსაც აწარმოებდა ევროპის კაპიტალიზმის მიმართ; ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი მზად არის ხელი აიღოს იმ მთავარ პრინციპზე, რომელიც ბოლშევიზმის „ალფას და ომეგას“ შეადგენდა“.

თუ ასეა საქმე, თუ მართლა საბჭოთა რუსეთი პოლიტიკურათ გაკოტრდა, თუ ბოლშევიზმმა თავის მთავარ პრინციპებზე აიღო ხელი—უნდა ველოდეთ სულ მალე რუსეთის ბოლშევიზმის და ქართულ მენშევიზმის—ორი კოტორი იოლათ უნდა დაუახლოვდენ ერთმანეთს. მარა რაღას იზამს „ერთობა“ ეს 25 პროცენტიც რომ „ენუქას ანდერძით“ ნაზოძი ამოჩნდეს?

## ინტერნაციონალის გარშემო.

### მე-2 კონგრესის გახსნა მოსკოვში

22 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე, ურიცკის სასახლესთან დაიწყეს თავის მოყრა ბავშვებმა. ბავშვების უმრავლესობა მოდიოდა პლაკატებით და ყვავილებით მორთულ ტრამვაით. სასახლის წინ მთელი მოედანი წარმოადგენდა ბავშვთა საყვავილეს. სასახლის შესავალი მხატვრულათაა მორთული. შუა კარების ორივე მხარეზე ჰკიდია დიდ-დიდი პლაკატები, რომლებზედაც დახატულია საყვირით ხელში გოლიათი—მუშები. ისინი აუწყებენ მთელს ქვეყანას მსოფლიო პროლეტარიატის ბრწყინვალე საათს. სასახლის ფასადი მორთულია პლაკატებით და ვარდ-ყვავილებით. შესავლის ზევით კიდია დიდი ტილო წარწერით: „გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!“ სასახლეში შესასვლელ კარებამდის ორივე მხრით სდგანან წითელი კურსელები.

დაახლოვებით 12 საათზე მოვიდნენ მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის წევრები—ამხანაგები ზინოვიევი, ლენინი, კალინინი, რადეკი და სხვები, რომელთაც ხალხი და ბავშვები ოვაციებს უმართავენ. შემდეგ ორკესტრის თანხლებით მოვიდ-

ნენ კონგრესის წევრები, რომელთაც აგრეთვე ხალხი ოვაციებით ხვდება.

### ურიცკის სასახლეში

კონგრესის გახსნამდის სხდომის დარბაზში თავი მოიყარა ამხანაგებმა, რომელთაც ჰქონდათ ნებართვა დასწრებოდენ ამ ისტორიულ სხდომას.

დარბაზი მხატვრულათაა მორთული. ტრიბუნის ზევით ფართო ტილოზე გამოხატულია მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის ღერბი—ნამგალი და ჩაქუჩი.

ტრიბუნის ორივე მხარეზე ტილოებზე გამოხატულია პროლეტარიატის ძლევამოსილების ემბლემა.

ერთ ტილოზე დახატულია ფაბრიკა-ქარხნის ნაწარმოები სამრეწველო იარაღები, მეორეზედ—სამიწათ-მოქმედო იარაღები, მესამეზედ—ცოდნის ემბლემა—წიგნი.

მთელ რიგ შემდეგ ტილოებზე წარწერილია: „გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს“!

„გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!“

„სალამი მთელ ქვეყნის მუშებს!“ და სხვა.

12 საათზე მთელი დარბაზი სავსეა ხალხით. ამ დროს დარბაზში შემოვიდა ამხ. ზინოვიევთან ერთად მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის წევრები.

ტრიბუნაზე გამოჩნდენ ამხ. ლენინი, კალინინი, რადეკი, ბუხარინი და სხვები.

თავის მეთაურებს ხალხი მქუხარე ტაშის კვრით ხვდება. ეკატერინეს დარბაზს ეწოდა **„კომუნის დარბაზი“**—მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის, მეორე კონგრესის 1-ლ სხდომის დღის აღსანიშნავათ. სახელმწიფო გამომცემლობის, პეტროგრადის განყოფილების, ცენტრო-ბეჭდვითი ბიუროს მიერ „კომუნის დარბაზში“ მოწყობილია გამოფენა. აქ გამოფენილია მრავალი წიგნები, პლაკატები, გეოგრაფიული სურათები, დიაგრამები, რომლებიც ნათლათ ამტკიცებენ ლიტერატურის გავრცელებას და სხვა.

გამოფენები განუწყვეტლივ გადასცემენ პროლეტარიატის მეთაურების მთელ სიტყვებს.

გვერდის ოთახებში „როსტას“ ბიუროს მიერ მოწყობილია მხატვრული სატირების გამოფენა. კედლებზე გამოკიდებულია ასამდის სხვა და სხვა შინაარსის სატირული სურათები.

აქვე არის სხვა და სხვა ენებზე გამოცემული „როსტას“ კედლის გაზეთები.

დიდრონი სურათ-პლაკატები გამოხატავენ „როსტას“ სამოქმედო სქემას მთელ დედა-მიწის ზურგზე.

რკინის გზით და წყლით მიაქვთ ამბები საბჭოთა რუსეთიდან და წითელ პიტერიდან.

**სხდომა იხსნება 1 საათ. და 5 წუთ.**

მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის დავალებით სხდომას ხსნის ამხ. ზინოვიევი.

— პირველი სიტყვა, ამბობს ამხ. ზინოვიევი, უნდა ითქვას იმ ჩვენი მეგობრების და მეთაურების ხსოვნის აღსანიშნავათ, რომლებიც დაიღუპნენ კომუნისტურ ინტერნაციონალის საქმისათვის.

არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც არ დაღვრილიყვეს მუშა-კომუნისტების სისხლი. საკმაოა მოვიგონოთ ჩვენი უნგრეთელი ამხანაგები: სამელი, ლევიკე და სხვა მრავალი.

ფინლიანდიაში, ესტლიანდიაში, უნგრეთში და სხვაგან ასობით და ათასობით დაიღუპნენ მუშათა კლასის საუკეთესო შვილები.

კონგრესის გახსნისას, ჩვენ პატივს ვსცემთ დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას.

ამხ. ზინოვიევის წინადადებით ყველა დამსწრენი ფეხზე დგებიან. ორკესტრი სამგლოვიარო ჰიმნს ასრულებს.

ამ ისტორიულ მომენტში ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ აგრეთვე ის ამხანაგები, რომლებიც ციხეებში იტანჯებიან. არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ ჩვენი საფრანგეთის ამხანაგები—ლორიო, მენატი და სხვები, რომლებიც ციხეებში ჩაყარეს პროლეტარიატის მტრებმა. ჩვენ სალამს ვუძღვნით მუშათა რევოლიუციისათვის მებრძოლ ტანჯულ ამხანაგებს.

აღსანიშნავია რომ ამერიკელ დემოკრატიაში სასტიკათ იდევნებიან მუშა-კომუნისტები. მათ აწამებენ შიმშილით და ყავთ მომწყვდეული რკინის მუხრუჭეპში.

ჩვენ მეგობრებს არ შეუძლიათ იმუშაონ, რადგან ყველას დევნიან ვისაც კი უნდა მესამე ინტერნაციონალში შესვლა რევოლიუციონური ორგანიზაციების საშუალებით.

ბურჟუაზიამ, სოციალ-გამცემლებთან ერთად, ციხეებში ჩაყარა კომუნიზმისათვის მებრძოლები. მაგრამ შორს არ არის ის დრო, როდესაც ეხლა რკინის ხლართულებში მყოფნი განთავისუფლდებიან და მათ ადგილას დაიკავებენ ისინი, ვინც ეხლა სახელმწიფოს უდგიან სათავეში.

კომუნისტური ინტერნაციონალი დაარსდა 15 თვის წინათ. მესამე ინტერნაციონალს თავის დაარსების პი ველ დღიდანვე მოუხდა უშუამავლო ბრძოლა მეორე ინტერნაციონალთან. ევროპის და ამერიკის ჩვენმა, როგორც მეგობრებმა, ისე მტრებმა უნდა აღიარონ ფაქტის წინაშე, რომ მესამე ინტერნაციონალმა ამ ბრძოლაში სასტიკათ დაამარცხა მეორე ინტერნაციონალი.

ჩვენსა და მეორე ინტერვაციონალის შორის ბრძოლა არის ფაქტიურათ ბრძოლა კლასთა შორის. მეორე ინტერნაციონალის რიგში იყვნენ ბევრი ჩვენი კლასიური ამხანაგები. ისინი გაბრიყვებული იყვნენ ბურჟუაზიასთან ერთად მოსიარულე ყვითელ სოციალისტების ყალბ იდეოლოგიით. ჩვენ დავამარცხეთ იმიტომ, რომ ბურჟუაზია უძლური გამოდგა მოესპო ომის დატოვებული ნაშთები იმიტომ რომ ბურჟუაზიას არ შეუძლია ყველაფერი იმის მიცემა, რითაც შეიძლება აღდგენილ იქნას ევროპის ეკონომიური მდგომარეობა.

პირველ გასროლის თანვე, რომელმაც აუწყო ქვეყანას იმპერიალისტურ ომის დაწყება, მესამე ინტერნაციონალმა დაუკავშირა თავისი ბედი ბურჟუაზიას. შემდეგ მეორე ინტერნაციონალის აღდგენის ცდამ ვერავითარი ნაყოფი გამოიღო.

მისი მთავარი ხელმძღვანელები სცდილობდენ კავშირი შეეკრათ ხალხთა ლიგასთან. ისინი ვილსონს გვედზე უყურებდენ, ჟორესს, ამ მუშათა მოძრაობისათვის წამებულს.

ამიტომ მთელი ის რისხვა, რომელიც თავს ატყდება ეხლა ბურჟუაზიას, იმავე დროს, მძიმე ჩაქუჩივით სცემს მეორე ინტერნაციონალსაც.

ყოველი ორგანიზაცია, რომელმაც თავისთავი დაუკავშირა ბურჟუაზიულ კლასებს, განწირულია დასაღუპავათ, რადგან ბურჟუაზიის დაღუპვა წინდაწინ გადაწყვეტილია. მუშათა კლასი იბრძვის ძალაუფლებისათვის, ამავე დროს ბურჟუაზია სასოწარკვეთილი ჩაბღაუჭებია მეორე ინტერნაციონალს და აღრჩობს მას თავისი მომაკვდავი მკლავებით. იჭვი არაა, რომ, როგორც პირველი ისე მეორე (ბურჟუაზია და მეორე ინტ.) ახლოს არიან საბოლოვო დაღუპვასთან, ვინაიდან ისტორიულ თვალსაზრისით წლები—დღეებათ ითვლება. მათი დაღუპვა საშუალებას მისცემს მუშათა საერთაშორისო კავშირს დაიწყოს კომუნიზმის საფუძველზე ახალი ქვეყნის შენება. დემოკრატიზმის იდეა გამკრთალდა ჩვენს თვალწინ. როდესაც ამერიკის ბურჟუაზიამ მთელი ქვეყნის დასანახათ, გააუქმა პარლამენტარული გარანტიები, როდესაც ნაქებ დემოკრატიამ დაარღვია ყველა თავისივე დამყარებული პრინციპები, ამით მან თვითვე მიიჩინა თავისი ალაგი. ამ კითხვაში ორი აზრი არ უნდა იქნეს.

აღვნიშნეთ რა, მეორე ინტერნაციონალზე გამარჯვება, საჭიროა ხაზი გაუსვათ ამ სადაო პუნქტს და ერთხელ და სამუდამოთ გავათავოთ საქმე დემოკრატიულ ტენდენციებთან.

კონგრესი მოწვეულია გადაწყვიტოს ისეთი კითხვები რომლებიც კომუნისტურ მოძრაობაში სადავო საგნათ გადაიქცა. კონგრესზე მოხმობილია ისეთი პარტიებიც, რომელთაც ჯერ არ გამოუხატავთ თავისი კომუნისტური მრწამსი, რომელთაც ჯერ კიდევ არ განუმარტავთ თავისი ტაქტიკა. ზოგიერთ ქვეყნების მუშათა კლასის კერძო ჯგუფები ჯერ კიდევ გზაჯვარედინზე იმყოფებიან. ჩვენ შემოვიკრიბეთ ყველა მასსიური მუშეთა ორგანიზაციები, რომელთაც კი უნდათ კაპიტალიზმის წინააღმდეგ აწარმოვონ ბრძოლა.

მეორე ინტერნაციონალის დარღვევის ხანაში, მას სტოვებდა ყველა პარტია. ეხლა ისინი ცდილობენ შემოვიდენ მესამე ინტერნაციონალში. ასეთებია მაგალითად, გერმანიის დამოუკიდებელი და საფრანგეთის სოციალისტური პარტიები და მათი მომხრე ჯგუფები. კონგრესზე არ იქნება დაშვებული იდეური სიყალბე. არავითარ დათმობას მეორე ინტერნაციონალისადმი, აქ ადგილი არ ექნება. ჩვენ წინადადებას მივსცემთ გერმანელ და ფრანგ მუშებს, რომ მათ გასწმინდონ თავისი პარტია ყალბ ელემენტებისაგან, რათა დაუბრკოლებლივ შეედულონ საერთაშორისო მუშათა კავშირს.

როგორც ზოგ ქვეყნებში არის რკინასა და ფოლადში გამობრძმედილი პარტიები, რომელთაც თავისკენ მიყავთ მუშათა მასსები, აი ასეთი პარტიებია ეხლა საჭირო საერთაშორისო მაშტაბში. უნდა შევქმნათ მოქნილი, მოძრავი ორგანიზაცია, რომ საჭიროების დროს იქ გაუწიონ ძლევა-მოსილი დახმარება, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს.

თუ მარქსისა და ენგელსისაგან დაარსებული 1 ინტერნაციონალი არ დაგვირგვინდა გამარჯვებით, ეს იმიტომ მოხდა, რომ მაშინ კიდევ არ იყო მუშათა კავშირი მსოფლიო მაშტაბით. ბურჟუაზიაზე გასამარჯვებლად აუცილებელია განვახორციელოთ ეს ძირითადი მიზანი.

მუშაობის დაწყებისას ჩვენ უნდა მოვიგონოთ, რომ რამდენიმე თვის შემდეგ შესრულდება 50 წელიწადი მას შემდეგ, რაც მოხდა მუშათა დიდი აჯანყება, რომელმაც გვიჩვენა ჩვენ სავალი გზა. ჩვენ უნდა მოვიგონოთ პარიზის კომუნა, რომელმაც სულ ახალი ფურცლები ჩასწერა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ჩვენ გამოვსთქვამთ ეღრმეს სურვილს, რომ ამ 50 წლის თავზე საფრანგეთში ყოფილიყოს საბჭოთა რესპუბლიკა.

გაივლის რამდენიმე დრო და მთელი ქვეყნის პროლეტარიატი ერთ სულოვნათ და ნათლათ გარკვეული თავის საბოლოვო მიზნებში, როგორც ერთი კაცი ყველა ერთათ გასწევს წინ გამარჯვებისაკენ კომუნისტურ ინტერნაციონალის ხელ·ძღვანელობით. გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა კლასს)

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

კონგრესის ყველა წევრებმა და დამსწრეებმა თავისი ხანგრძლივი მქუხარე ტაშის კვრით დაამტკიცეს, რომ ისინი უერთებიან და უკლებლათ ღებულობენ ამხ. ზინოვიევის გამოთქმულ დებულებს.

გაზ. „კომუნისტი“ (ბაქო) № 77

(შემდეგი იქნება)

### კომუნისტური ინტერნაციონალის ძალების აღნუსხვა

(გაგრძელება)

### ბალკანეთის ფედერაცია

ბალკანეთის კომუნისტურ ფედერაციაში შედიან: ბულგარეთის კომუნისტური პარტია (ტესნიაკები), საბერძნეთის სოციალისტური მუშათა პარტია, სამხრეთ-სლავიის სოციალისტური მუშათა პარტია კომუნისტებისა და რუმინიის სოციალისტური პარტია.

ფედერაცია ისახავს თავის ამოცანათ: 1) პროლეტარიატის მიერ პოლიტიკურ ძალა-უფლების დაპყრობა, 2) ყოველმხრივათ ხელის შეწყობა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისათვის და ევროპაში მოსალოდნელ პროლეტარულ სოციალისტურ რევოლიუციებისათვის, 3) საბჭოების საშუალებით პროლეტარიატის დიქტატურის გზით ბალკანეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დაწესება, 4) ინტერნაციონალურ პროლეტარულ ამოცანების რევოლიუციონურ-განმანთავისუფლებელ ნაციონალურ ბრძოლასთან შედუღება.

---

6. ლენინი

## „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში

(დასასრული მე-V-ე თავის)

ამ უკანასკნელის ცდა „გაარღვიოს“ საკითხი და გამოაცხადოს, რომ არაფრად საჭიროა საზოგადოთ და თან ბურჟუაზიული საქმეა პოლიტიკური პარტიები, ისეთ უკიდურეს შეუსაბამობას წარმოადგენს, რომ მხოლოდ გაკვირვება დაგვრჩენია. ჭეშმარიტად: ყოველთვის შეიძლება პატარა შეცდომის გადაქცევა საოცარ—დიდ შეცდომათ, თუ მაინც და მაინც ჩააცივდებიან ამ შეცდომას, მოინდომებენ მის ღრმათ დასაბუთებას და „ლოღიკურ დას ვნამდე“ მიყვანას.

უარყოფა პარტიობის (партийность) და პარტიული დისციპლინისა აი რა გამოუვიდა ოპოზიციას. ეს კი ნიშნავს პროლეტარიატის სრულ განიარაღებას ბურჟუაზიის სასარგებლოთ. ეს უდრის სწორეთ იმ წვრილ ბურჟუაზიულ დაქსაქსულობას (распыленность), დაუდგრომლობას, უქონლობას სიმტკიცის, ერთობის და შეთანხმებულ მოქმედებას, რაიც აუცილებლად დაღუპავს პროლეტარულ რევოლიუციონურ მოძრაობას, თუ მას დააცალე და არ შეაჩერე. კომუნიზმის თვალსაზრისით პარტიობის უარყოფა ნიშნავს ნახტომის გაკეთებას კაპიტალიზმის კრახის წინადღეებიდან (გერმანიაში) კომუნიზმის არა დაბალ და არა საშუალო, არამედ უმაღლეს ფაზისში. ჩვენ რუსეთში განვიცდით (ბურჟუაზიის დამხობიდან მესამე წელიწადში) პირველი ნაბიჯებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში, ანუ კომუნიზმის უმდაბლეს სტადიაში გადასვლისას კლასები დარჩენ და კიდევ იქნებიან წლების განმავლობაში პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგაც, შეიძლება ინგლისში, სადაც გლეხები არ არსებობენ (მარა წვრილი მესაკუთრეები კი!) ეს ვადა უფრო ნაკლები გამოდგეს. კლასების მოსპობა-ნიშნავს არა მარტო პომეშჩიკების და კაპიტალისტების გადარეკას—ეს ჩვენ შედარებით იოლათ გავაკეთეთ,—ეს ნიშნავს აგრეთვე მოსპობას წვრილ საქონლის მწარმოებლებისას, მათი გარეკა კი არ შეიძლება, არ შეიძლება მათი დახშობა, მათ უნდა შეუწყოთ, შესაძლებელია (და სავალდებულოც) მათი გადაკეთება, მათი ხელახალი აღზრდა მხოლოდ დიდათ ხანგრძლივ, ნელი, ფრთხილი ორგანიზატორული მუშაობით. ისინი წვრილბურჟუაზიული სტიქიათ რკალივით შემორტყმიან პროლეტარიატს ყოველი მხრიდან, ამ სტიქიით ჟღენთავენ მას (пропитывают), მით რყვნიან მას, იწვევენ მუდამ პროლეტარიატში რეციდივებს წვრილბურჟუაზიულ უხასიათობისას დაქსაქსვისა, ინდივიდუალიზმისას, სწრაფ გადასვლას გატაცებიდან სულის დაცემაზე. საჭიროა უსასტიკესი ცენტრალიზაცია და დისციპლინა პროლეტარიატის პოლიტიკურ პარტიის შიგნით, რათა ამას დაედვას საზღვარი, რათა პროლეტარიატის ორგანიზატორულ როლს (და ეს კი მისი მთავარი როლია) სისწორით, წარმატებით და სრული გამარჯვებით იქნეს შესრულებული. პროლეტარიატის დიქტატურა წარმოადგენს ბრძოლას დაჟინებულს, სისხლიანს და უსისხლოს, ძალდატანებითს და მშვიდობიანს, სამხედროს და სამეურნეოს, პედაგოგიურს და ადმინისტრატიულს,—წინააღმდეგ ძველი საზოგადოების ძალთა და ტრადიციებისა. მილიონ და ათეულ მილიონ ადამიანთა ჩვევის (привычка) ძალა-უსაშინელესი ძალაა. უპარტიოთ, რომელიც გარკინებული და ბრძოლაში გამობრძმედილია, უპარტიოთ რომელსაც დაუმსახურებია ნდობა ამა და ამ კლასის უპატიოსნესი ნაწილის უპარტიოთ, რომელსაც შეუძლია თვალყური ადევნოს მასსის სულიერ განწყობილებას და გავლენა მოახდინოს მაზე ასეთ ბრძოლის წარმატებით წარმოება შეუძლებელია. ათასჯერ უფრო ადვილია მსხვილი ცენტრალიზაცია დამთავრებული ბურჟუაზიის დამარცხება, ვინემ „დამარცხება“ წვრილ „ხაზეინუკების“ მილიონების და მილიონების, რომლებიც თავისი ყოველდღიური, ჩვეულებრივი, უხილავი და აღმოუჩენილი, დამრღვევ მოღვაწეობით ახორციელებენ იმავე შედეგებს, რაიც ბურჟუაზიას ესაჭიროება, რომლებიც ბურჟუაზიის რესტავრაციას აწარმოებენ. ვინც რამოდენიმეთ მაინც ასუსტებს პროლეტარიატის პარტიის რკინის დისციპლინას (განსაკუთრებით მისი დიქტატურის ხანაში), ის ფაქტიურათ ეხმარება ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ბელადების - პარტიის - კლასის - მასსის საკითხის გვერდით უნდა დაყენებულ იქნას საკითხი „რეაქციონურ“ პროფესიონალურ კავშირების შესახებ. მარა წინდაწინ მე ნებას მივცემ ჩემს თავს ორიოდე დასაბოლოვებელი შენიშვნა ჩვენი პარტიის გამოცდილებაზე დამყარებული.

ჩვენს პარტიაში ყოველთვის იყო უკმაყოფილება (нападки) „წინამძღოლთა დიქტატურით“: პირველათ ასეთი უკმაყოფილება მახსოვს 1895 წ. როცა ჯერ ფორმალურათ არც იყო პარტია, მარა ცენტრალური ჯგუფი პეტერბურგში უკვე იწყობოდა და მას უნდა ედვა თავს რაიონულ ჯგუფების ხელმძღვანელობა. ჩვენი პარტიის მე-9 ყრილობაზე (1920 წლის მაისში) არსებობდა პატარა ოპოზიცია, რომელიც აგრეთვე გამოდიოდა წინააღმდეგ „წინამძღოლთა დიქტატურისა“, ოლიგარხიისა და სხ... ამიტომაც არაფერი გასაკვირალი, არც ახალი და საშიში არ არის „მემარცხნე კომუნიზმის“ „საყმაწვილო სენში“ ნემცებისთვის. ეს სენი არავითარი საფრთხეს არ წარმოადგენს, ირლათ მოხდა იცის. და ორგანიზმი მას შემდეგ კიდეც უფრო მაგრდება. მეორე მხრით ის გარემოება, რომ ლეგალური მუშაობა ჩვენში უეცრად იცვლებოდა არალეგალურით, რაც დაკავშირებული იყო საჭიროებასთან განსაკუთრებით „დაემალათ“, განსაკუთრებით კონსპირატიულ პირობებში ჩაეყენებიათ სწორედ მთავარი შტაბი, სწორედ წინამძღოლები—აი ეს გარემოება იყო მიზეზი ხანდახან მეტისმეტათ საშიშ მოვლენების. ყველაზე უარესი იყო, ის, რომ 1912 წ. ბოლშევიკების ცენ. კომიტეტში შევიდა პროვოკატორი, მალინოვსკი. მან მოაწყო „პრავდი“ მრავალ ათეულ ჩვენი საუკეთესო და თავდადებულ ამხანაგების. მიიყვანა ისინი კატორღაში, მრავალს მათგან მოუსწრაფა სიცოცხლე და თუ მან ვერ მოგვიტანა კიდევ მეტი ზიანი, ეს იმიტომ, რომ ჩვენ სწორათ გვქონდა დაყენებული ურთიერთობა ლეგალური მუშაობის არალეგალურთან. რათა მოეპოვებია ჩვენი ნდობა, მალინოვსკი, როგორც წევრი პარტიის ცე-კასი და სათათბიროს დეპუტატი, იძულებული იყო დახმარება გაეწია ჩვენთვის ლეგალური ყოველდღიური გაზეთების დაარსება დაყენების საქმეში, იმ გაზეთების, რომლებსაც მეფის დროსაც აწარმოებდენ ბრძოლას მენშევიკების ოპორტუნიზმის წინააღმდეგ და ქადაგებდენ ბოლშევიზმის ძირითად პრინციპებს სათანადო დაფარულ ფორმებში. მალინოვსკი, რომელიც ერთი ხელით კატორღაში და სასიკვდილოთ აგზავნიდა ბოლშევიზმის მრავალ ათეულ საუკეთესო მოღვაწეებს, იძულებული იყო მეორე ხელით დახმარება გაეწია მრავალ ათეულ ათასების ახალ ბოლშევიკების აღზრდა-განათლებისათვის ლეგალური პრესის საშუალებით, ურიგო არ იქნება ამ ფაქტს კარგათ რომ ჩაუკვირდებოდენ ის ნემეცი (აგრეთვე ინგლისელი და ამერიკანელი, ფრანგი და იტალიელი) ამხანაგები, რომლების წინ დგას ამოცანა—ისწავლონ რევოლიუციონური მუშაობის წარმოება რეაქციონურ პროფესიონ. კავშირებში.*)

მრავალ ქვეყნებში, და მათ შორის მეტათ დაწინაურებულებში, ბურჟუაზია უეჭველათ აგზავნის ახლა და შემდეგშიაც შეაგზავნის პროვოკატორებს კომუნისტურ პარტიებში ერთი საბრძოლველი საშუალებათაგანი ამ საფრთხის წინააღმდეგ—მოხერხებული შეერთება ლეგალური და არალეგალური მუშაობის.

(შემდეგი იქნება).

---

*) მალინოვსკი ტყვეთ იყო გერმანიაში. როცა ის დაბრუნდა რუსეთში ბოლშევიკების მთავრობის დროს, ის იმ წამსვე მისცენ მუშებმა სამართალში და დახვრიტეს. მენშევიკები განსაკუთრებული გაბოროტებით გვესხმოდენ ჩვენ იმ შეცდომის გამო, რომ პროვოკატორი იყო ჩვენი პარტიის ცე-კაში, მარა, როცა ჩვენ, კერენსკის დროს, მოვითხოვდით სათათბიროს თავმჯდომარის როდზიანკოს დაპატიმრებას და გასამართლებას, ვინაიდან როდზიანკომ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გაიგო მალინოვსკის პროვოკატორობა და არ გაუმხილა ეს სათათბიროს ტრუდოვიკებს და მუშებს, არც მენშევიკებმა და არც ესერებმა, რომლებიც კერენსკისთან ერთად იყვნენ მთავრობაში, მხარი არ დაუჭირეს ჩვენ მოთხოვნას, და როდზიანკო თავისუფალი დარჩა, თავისუფლადვე დენიკინთან წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერაციამ გადასწყვიტა შეუერთდეს მესამე ინტერნაციონალს, შექმნას მუდმივი კავშირი ფედერაციის პარტიებს შორის დამოკიდებულებისათვის და ურთიერთ მორალურ და მატერიალურ დახმარებისათვის, მოახდინოს ბალკანეთის კომუნისტური პარტიების საერთო შეთანხმებული გამოსვლები ბალკანეთის პროლეტარიატის ინტერნაციონალურ სოლიდარობის განსავითარებლად და გასამტკიცებლათ, მის შეურიგებელ კლასიურ ბრძოლის გასაძლიერებლად და ბალკანეთის პროლეტარულ რევოლიუციის გასამარჯვებლად.

ამ ფედერაციას დიდი მნიშვნელობა ეძლევა ერთი მეორის წინააღმდეგ მტრულად განწყობილ ბალკანეთის სახელმწიფოებში.

მოძრაობა ძლიერია ამ სახელმწიფოებში. ბულგარეთში და სომხეთ-სლავიაში კი ის გამარჯვების წინაა.

**ჰუნგრეთი.**

მიუხედავათ იმისა, რომ აქ პროლეტარული რევოლიუცია დიდი სისხლის ღვრით იქმნა ჩაქრობილი, პარტია, თუმცა და არალეგალურათ არის, მაგრამ მაინც სულ უფრო იზრდება და მაგრდება. პროლეტარიატი უკვე გონს მოვიდა რეაქციის სუსხისაგან და სულ უფრო და უფრო მჭიდროთ კავშირდება თავისი პარტიის გარშემო. ხელსაყრელი მომენტი და საბჭოთა ჰუნგრეთი აღსდგება ფერფლისაგან და სისხლისაგან.

**ი ტ ა ლ ი ა.**

ერთიანი სოციალისტური პარტია უძლიერეს პარტიას წარმოადგენს პარლამენტში. არსებობს სამი ფრაქცია: 1) რომელსაც ჰყავს დიდი უმრავლესობა და ახლოს სდგას რუსეთის კომუნისტურ პარტიასთან, 2) „ექსტრემისტები“, რომლებსაც უკავიათ გერმანიის სინდიკალისტ-კომუნისტების მაგვარი პოზიცია და 3) „რეფორმისტები“, რომლებიც ახლოს სდგანან გერმანიის დამოუკიდებლებთან. ქვეყანა პერიოდულ გაფიცვების დემონსტრაციების და აჯანყებების ცეცხლის ალშია გახვეული და იმყოფება პროლეტარიატის დიქტატურის წინ. „ცენტრი“ და „რეფორმისტები“ დიდი ვაივაგლახით აჩერებენ პროლეტარიატს, რომ უდროვოდ არ დაიპყროს ძალა-უფლება. მაგრამ სოციალისტური პარტია შედის მესამე ინტერნაციონალში.

სოციალისტების პარტიის უმრავლესობას ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია საკითხი მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ. მაგრამ ყველაფერი იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ ეს ახლო მომავლის საქმეა. მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესმა გადასწყვიტა საკითხი მისი მიღების შესახებ თავის წრეში, ჯერ-ჯერობით კი მის წარმომადგენლები დაშვებული არიან სათათბირო ხმით. მისმა დელეგატებმა კაშენმა და ფროსარმა განცხადება შეიტანეს მესამე ინტერნაციონალის აღმასკომში, სადაც ისინი უთითებენ პარტიის სტრასბურგის მთელ რიგ მნიშვნელოვან დადგენილებაზე, გვპირდებიან არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც წავიდენ იმავე გზით, როგორც რუსეთი „მოამზადონ საფრანგეთის პროლეტარიატი ბრძოლის იმ გმირულ მეთოდების შესასწავლად, რომლებმაც საშვალება მისცეს რუსეთის მუშათა კლასს ჩაეგდო თავის ხელში ძალა-უფლება, შეენარჩუნებია ის და ძველი რეჟიმის ნანგრევებზე საფუძველი დაედვა ახალ სოციალურ წყობილებისთვის, რომლის მთელი სიდიადე იშლება ჩვენ თვალ წინ ამ წუთში“.

პარტიის სტრასბურგის კონგრესი აღიარებს, „რომ კაპიტალისტურ ეკონომიური სისტების აღდგენის ანუ მხარის დაჭერის ყოველგვარი ცდა განწირულია სინამდვილის მიერ და ამიტომ წმინდა უტოპიაა,“ რომ პარლამენტარიზმის სისტემას, რომელიც ასე ძვირფასია ბურჟუაზიულ დემოკრატიისათვის, კონგრესი არ ცნობს, „რომ მხოლოდ ძალით და პირდაპირი რევოლიუციონური მოქმედებით, მხოლოდ სამოქალაქო ომის ცეცხლით შეიძლება დაინგრეს ძველი წყობილება დასაფუძველი ჩაეყაროს ახალს, სოციალისტურს,“ რომ „ბურჟუაზიის დღევანდელ დიქტატურან პროლეტარიატმა უნდა დაუპირდაპიროს თავისი დიქტატურა.“ კონგრესი „მოითხოვს მსხვილი მიწადმფლობელობის და სამრეწველო და სატრანსპორტო კაპიტალიზმის ყველა საწარმოვო საშვალებების ექსპროპრიაციას და კონფისკაციას“.

ყველა ეს ძალიან ახლოა მესამე ინტერნაციონალის პოზიციასთან. მაგრამ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ამ უმრავლესობის გარდა საფრანგეთში არის კიდევ „ლორიოს ჯგუფი“, რომელიც სავსებით მესამე ინტერნაციონალის პლატფორმაზე დგას. ეს ჯგუფი საკმარისად ძლიერია და რამოდენიმეთ მისი გავლენითაც აიხსნება, რომ უმრავლესობა ასე გამემარცხენდა. უკანასკნელ დროს ვებერთელა გაფიცვები იმას მოწმობს, რომ პროლეტარიატი უფრო რევოლიუციონურია სოციალისტურ პარტიაზე. ამიტომ, თუ კი საფრანგეთის სოციალისტების უმრავლესობა მართლაც რომ სიტყვიდან საქმეზე გადავა, ჩვენ სულ მალე გადატრიალებას ვიხილავთ საფრანგეთში.

(შემდეგი იქნება).

# რისხვა.

განრისხდეს ზეცა: იჭექ-იქუხოს,
სივრცე დასეროს ელვის ისრებით,
მზეს ლრუბელთ ფარდა გადააფაროს,
მიწა ჩაქოლოს მეხისა ქვებით!
დაე, წაირღვნას ძველი ქვეყანა
შთაინთქეს სისხლის ოკეანეში,
მიწის ქაოსში დაჭკნეს სიცოცხლე
მეფობდეს კვნესა არე-მარეში!
რომ წარღვნის შემდეგ დედა-მიწაზე
ქვეყნათ ზამთარი აღარ ზამთრობდეს,
რომ ამ ქვეყნისა ღვარძლიან ადგილს,
ტურფა წალკოტი ამშვენ-ამკობდეს,
რომ ია ვარდის სიმშვენიერე
ეკალს ცხარე ცრემლს აღვრევინებდეს,
რომ ჰანგათ რხეულ ბულბულის სტვენას
ყვავთა ჩხავილი არ ამცირებდეს!

**სანდრო ეული.**

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

## საბჭოთა რუსეთში.

**საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან.**

**მოსკოვი,** 9 აგვისტო. (საფრანგეთის რადიოს ნაწყვეტი მოსკოვიდან ვარშავში). ატმოსფერული მოვლენები ხელს უშლიდა (რადიოთი) საზავო მოლაპარაკების გაგრძელებას.

ჩიჩერინმა ისარგებლა იმ შემთხვევით, როდესაც რადიო სადგურმა დაიწყო მუშაობა და 7 აგვისტოს 2 ს. და 24 წუთ. შეეკითხა პოლონეთის მთავრობას, რისთვის არ არის პასუხი რუსეთის წინადადებაზე: „ჩვენ ვიღებთ მხედველობაში თქვენს თანხმობას საზავო მოლაპარაკების დაწყებაზე, რომელიც ეთანხმება 23 ივლისის ჩვენს წინადადებას, ჩვენი დელეგაცია მოვა ქ. მინსკში 11 აგვისტოს. ჩვენ წინადადებას ვიძლევით თქვენი წარმომადგენლები გადმოვიდენ ბრძოლის ხაზზე 10 აგვისტოს სად. 6 ს.“

**საბჭოების სიეზდი.**

**კავკავი,** 8 აგვისტო. 6 აგვისტოს საბჭოების სიეზდის დილის სხდომაზე გამოვიდა მისალმებით დაღესტანის ოლქიდან ამხ. საიდ-გაბიევი. მან სთქვა, რომ დაღესტანის მშრომელი ხალხი ძმურ ხელს უწვდიან თერგის პროლეტარიატს.

## საბჭოთა ადერბეიჯანში.

**პარტიული კონფერენცია.**

**ბაქო,** 10 აგვისტო. დალიარში გაიხსნა შამქორის ოლქის პარტიული კონფერენცია. კონფერენციამ გადასწყვიტა ყოველივე ღონე იხმაროს რათა შეაკავშიროს მთელი ოლქის მშრომელნი კომუნისტურ რევოლიუციის დროშის ირგვლივ.

**ინგლისის ორმაგი პოლიტიკა.**

**მოსკოვი,** 8 აგვისტო. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი აქვეყნებს ცნობას, რომელიც ნათლათ ახასიათებს ინგლისის პროვოკაციულ მოქმედებას საზავო მოლაპარაკების საქმეში.

ივლისის შუა რიცხვებში საბჭოთა მთავრობასთან ნოტების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ინგლისი ცდილობდა მხოლოთ შეეჩერებინა პოლონეთის შუაგულისკენ საბჭოთა ჯარების წინსვლა და პოლონეთისთვის უშუამავლო საზავო მოლაპარაკება ეწარმოებიათ ერთი მეორესთან. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი კერზონი ივლისის 20 ამბობს, ინგლისი არ მოითხოვს დაჟინებით თავის შუამავლობას რუსეთსა და პოლონეთს შორის საზავო მოლაპარაკების დროს.

მოკავშირენი ურჩევენ პოლონეთს დაუყონებლივ დაიწყონ საზავო მოლაპარაკება. თუ რომ საბჭოთა ჯარები მაინც განაგრძობენ შეტევას, მიუხედავათ პოლონეთის თხოვნისა—დაიწყონ საზავო მოლაპარაკება, იმ შემთხვევაში მოკავშირენი იძულებული იქნებიან აუსრულონ შეპირება პოლონეთს და დაეხმარონ მას. ამასთან ერთად გადადებულ იქნა ამხ. კრასინისა და კამენევის ლონდონში გამგზავრება. ამ დროს პოლონეთი, მართლაც იძლეოდა წინადადებას დაწყებულიყო საზავო მოლაპარაკება. საბჭოთა რუსეთი მზათ იყო შეეტყობინებია ეს ინგლისისათვის. საზავო მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის შეწყდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ პოლონეთის წარმომადგენლებს არ ქონდათ თავისი მთავრობისაგან საზავო მოლაპარაკების დასაწყებათ შესაფერი რწმუნება. 29 ივლისს კერზონმა წამოუყენა საბჭოთა მთავრობას ახალი მოთხოვნილება, რომ საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიეღო რუსეთის იმ მოსაზღვრე სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რომელთაც არ შეუკრავთ ზავი რუსეთთან.

პოლონეთთან საზავო მოლაპარაკების შემდეგ, და იმის შემდეგ, როდესაც განხილული იქნება ყველა სადაო საკითხები რუსეთსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს შორის, კონფერენციას შეუძლია დაიწყოს საზავო მოლაპარაკება მოკავშირეებთან. იმის შემდეგ, როდესაც პოლონეთის წარმომადგენლები წავიდენ ბარანოვიჩში, კერზონმა ახალი ნოტით განუცხადა საბჭოთა რუსეთს, რომ თუ ის დაჟინებით მოითხოვს პოლონეთთან ზავის შეკრას მოკავშირე სახელმწიფოების მონაწილეობის მიუღებლათ, იმ შემთხვევაში არავითარი კონფერენციის მოწვევა საჭირო არ იქნებაო. თუ საბჭოთა მთავრობა ისარგებლებს ამ დროით, რომ მისი ჯარები შეიჭრან პოლონეთის შუაგულში, იმ შემთხვევაში ინგლისი და მისი მოკავშირენი იძულებული იქნებიან აქტიურათ ჩაერიონ საქმეში.

4 აგვისტოს ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებმა—ლოიდ ჯორჯმა და ბონარ ლოუმ მიიხმეს თავისთან ამხ. კრასინი და კამენევი და განუცხადეს მათ, რომ, რადგან საბჭოთა ჯარები განაგრძობენ შეტევას ვარშავაზე, ამიტომ ინგლისის ფლოტი გავა ზღვაში: გაცემულია ბრძანება ბლოკადის გასაახლებლათ და რომ ისინი უკვე შეუდგენ ამუნიციის გადატვირთვას დანციგში. 5 აგვისტოს ამხ. კრასინმა და კამენევმა განუცხადეს ინგლისის მთავრობას, რომ რუსეთს არ შეუძლია შესწყვიტოს პოლონეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება, რადგან მოკავშირენი ისევ ეხმარებიან ვრანგელსო, მიუხედავათ ამისა საბჭოთა მთავრობა მზათ არის დაიწყოს საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან უშუამავლოთ. საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია იმაში, რომ უშუამავლო მოლაპარაკებით უფრო კარგათ იქნება დაცული პოლონეთის და რუსი ხალხის ინტერესები.

ინგლის მთავრობასთან საზავო მოლაპარაკება გრძელდება. მაგრამ 6 აგვისტოს ულტიმატუმისა და ზღვაში გამოსულ ინგლისის ფლოტის მუქარის გამო იქმნება ძლიერ ცუდი პირობები, რომლებიც აბრკოლებენ საბჭოთა რუსეთის და ინგლისის მთავრობათა შეთანხმებას.

## საზღვარ-გარეთ

**რევოლიუციონური მოძრაობა კორეიაში.**

**შანხაი,** 15 ივლისი. 11 მაისს პენიანში აღმოჩენილ იქნა კორეიელ რევოლიუციონერების შეთმულება. დაატუსაღეს 4 კორეიელი და ხელთ ჩაიგდეს მრავალი ყუმბარები. რევოლიუციონერების დატუსაღების დროს მოხდა ჟანდარმერიასთან შეტაკება. მსხვერპლი არ ყოფილა.

**პარიჟი.** ვრანგელის საგარეო საქმეთა მინისტრი, პ. ბ. სტრუვემ პარიჟში განაცხადა, რომ სამხრეთ-რუსეთის არმიას არ აქვს განზრახვა შეიჭრას შუაგულ რუსეთში, არამედ მას სურს შეინარჩუნოს თავისი არსებობა იმ ადგილებში, რომლებიც მას ეხლა უკავია. ეს მოხსენება პეტ. სტრუვემ გააკეთა მხოლოდ ვრანგელის წინასწარ თანხმობით.

სტრუვემ ითხოვა, რომ საფრანგეთმა მოახდინოს თავისი გავლენა მოსკოვის საბჭოთა მთავრობაზე, რათა გავლებულ იქნას დემარკაციული ხაზი საბჭოთა რუსეთის ტერიტორიის და ვრანგელისაგან დაკავებულ ტერიტორიას შორის, რომ შეძლება იქნეს მოვაწყოთ სამხრეთ რუსეთის სოციალური ცხოვრება. ეს შუამდგომლობის თხოვნა მით განსხვავდება წინანდელ რუსეთის გენერლების ანტანტისადმი მოწოდებისაგან, რომ ამ შემთხვევაში ვრანგელი ითხოვს საფრანგეთისაგან არა სამხედრო დახმარებას, არამედ დიპლომატიური გზით რუსეთზე გავლენის მოხდენას.

# დეპეშები

**მოსკოვი ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.**

**სამხედრო ცნობები.** 9 აგვ. ჩვენმა ნაწილებმა პრასნიში და ოსტროლენკა დაიკავეს. წამოიყვანეს ტყვეები. ხელთ იგდეს ტყვიისმფრქვევლები, საარტილერიო საწყობები. მათ დაიკავეს აგრეთვე ოსტროლენკის სამხრეთ-დასავლეთით 10—20 ვერს. მდებარე ადგილები, ჩვენი ჯარი მდ. ნარევზე გადავიდა და ვიშკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით 16 ვერსზე მდებარე ადგილებს მიაღწია. მან ბრძოლით აიღო დაბა ბროვი, სად. მალკინი და ქალაქი სოკოლოვი. სედლეცის და ლუკოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბუგის მარცხენა ნაპირზე მტერს სძლია და სად. პლიატერივო აიღო. ბუგის და სავლეთით ქალ. ვლოდაკოვის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლა სწარმოებს. ხოლმის რაიონში ჩვენი ჯარი ხოლმკოველის რკ. გზის სამხრეთით მდ. ბუგზე გადავიდა და მდ. დასავლეთ ნაპირზე სოფლები დაიკავა. ბროდის რაიონში მტრის ძლიერ ძალებთან იბრძვის ჩვენი ჯარი.

**ყირიმის ფრონტი.**

ხერსონისა და ბერესლავლის რაიონებში დნეპრის მარცხენა მხარეზე გადასული ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ჩვენებმა წამოიყვანეს ტყვეები, ხელთ იგდეს ტყვიისმფრქვევლები, თოფები და სამხედრო მასალა. ჩვენმა ჯარმა ვერხონეტოკმავი აიღო.

**პოლონეთი და ანტანტა.**

**მოსკოვი.** გუშინ ჩვენი ჯარის მიერ დაკავებულ მალკინსა და ვარშავს შორის მატარებლით სამი საათის სასიარულოა. ვარშავის დასაცავად მოკავშირეებმა ინგლისის ფლოტი გამოგზავნეს პეტროგრადის მიმართულებით. ანტანტას სურს პეტროგრადის წინააღმდეგ აამხედროს ფინეთი და მას ინგლისის ფლოტით დაეხმაროს. პეტროგრადის გაზეთებში ზინოვიევი სწერს: „პეტროგრადს ყოველთვის ესმოდა, რომ იგი საბჭოთა რესპუბლიკის მოწინავე პოსტია. დავინახავთ, გაბედავს თუ არა ანტანტა განახორციელოს თავისი მუქარა და გაბედავს თუ არა თეთრი ფინეთი პიტერზე შეტევას, როდესაც იგი ხედავს, თუ როგორ დაიღუპა პოლონეთი. ზინოვიევი მოუწოდებს კრონშტადტის წითელი ფლოტის მეზღვაურთ, საზღვარზე მდგომ წითელ არმიელებს, პეტროგრადის მუშებსა და მუშა ქალებს ფრთხილათ იყონ და ამასთანავე იგი სრულ იმედს გამოსთქვამს რომ გამარჯვება რუსეთს დარჩება,

**ამერიკული ცნობები.**

იმ დროს, როდესაც რუსები ზარბაზნის ტყვიით ვარშავის კარებს ურაკუნებენ, გერმანია იცინის. მას უხარია, როდესაც უყურებს, რომ საფრანგეთ-ინგლისის გეგმები იმსხვრევა. გერმანიამ შესძლო ყველაფრის მოგება, მას არაფერი არ წაუგია. ასეთია ამ საკითხზე საზოგადოების აზრი. თუ ბოლშევიკების რისხვა არ ასცდე პოლონეთს, გერმანია სადაც იდგა, იქ დასდგება. ბალშევიკების გამარჯვება, მიუხედავათ იმისა გერმანია გახდება თუ არა რუსეთის მეგობარი, მის მდგომარეობას მაინც ამტკიცებს და ამაგრებს. ახლა გერმანიის მთელი ენერგია ნეიტრალიტეტის დაცვას უნდება. უკიდურესნი ნეიტრალიტეტის დაცვით რუსეთს უწევენ მეგობრობას, ხოლო კონსერვატორები კი მას მხარს უჭერენ ანტანტისაგან მოსალოდნელ ძალმომრეობისგან თავდასაცავად.

**თბილ. პრეს-ბიუროს ცნობა**

**ბათომი.** აგვისტოს 10. ინგლისის ნაღ-

„თუმცა არა შინაარსით, მაგრამ ფორმით კი პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ნაციონალურია. თავის თავათ ცხადია, რომ თითეული ქვეყნის პროლეტარიატმა პირველ ყოვლისა თავისი საკუთარი ბურჟუაზია უნდა დაამხოს“.

**მარქს-ენგელსი.** „კომუნისტური მანიფესტი“, გვ. 32.

მოსანმა „ცენტავრმა“ აგვისტოს 9-ს მიიღო ვრცელი რადიო ლონდონიდან რუსეთ-პოლონეთის დამოკიდებულების შესახებ. რადიოს ცნობით აგვისტოს 7-ს კონფერენციამ რუსეთ-პოლონეთის ზავის საკითხი ვადაწყვეტას დაუახლოვა. მოხდა თათბირი კრასინისა და კამენევისა ინგლისის კაბინეტთან. თათბირის შემდეგს მოსკოვს აცნობენ. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა – მილიერანს უნდა მოველაპარაკო და შემდეგ გამოვალ თემთა პალატაში სათანადო განცხადებითო. „დეილი ქრონიკელი“ იუწყება: ლონდონის თათბირის უმთავრესი მიზანი რუსეთ-პოლონეთს შორის სამხედრო მოქმედების შეწყვეტა იყო. მიუხედავათ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა შეურიგებლობისა კრასინის ლოიდჯორჯთან მოლაპარაკების დროს მაინც გადასწყდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხიო. „დეილი ტელეგრაფის„ ცნობით ლოიდ ჯორჯი შეეკითხა თათბირზე კამენევსა და კრასინს: გესმით, თუ არა საბჭოთა რუსეთის პასუხისმგებლობა დღევანდელ მომენტში, და თუ გესმით მზათა ხართ თუ არა მიიღოთ ყოველი ზომა ნორმალურ დამოკიდებულების აღსადგენათო? თავის მხრივ ლოიდ ჯორჯმა განაცხადა ბალშევიკების ლაპარაკი ხალხის მშვიდობიანობისა და ბედნიერების შესახებ გულწრფელი არააო.

## აღმოსავლეთის ხალხთა სიეზდი.

სიეზდის მოსაწვევათ მუშაობას აწარმოებს მესამე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის და რ. კ. პ. ც. კომიტეტისგან არჩეული ბიურო.

მოსამზადებელ მუშაობის წარმოება დავალებული აქვს სპარსეთში ირანის კომუნისტურ პარტიის ბიუროს, ოსმალეთში—ოსმალეთის კომუნისტის ბიუროს, ჩრდილოეთ კავკასიაში—ამხ. გაბაევს, ადერბეიჯანში—ამხ. ნანეიშვილს, თურქესტანში და მის მახლობელ ქვეყნებში—ამხ. ორჯონიკიძეს და სტასოვის ქალს, სომხეთში და საქართველოში—ამხ. მიკოიანს. ფიქრობენ, რომ სიეზდს დაესწრება რამოდენიმე ათასი კაცი, როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთ ევროპიდანაც. დელეგატების მისაღებათ, მათთვის ბინის დასამზადებლათ და სიეზდის ტეხნიკურ მოსაწყობათ გამოყოფილაა კომისია, რომელმაც უკვე გასწმინდა 4 სახლი, სადაც იქნება დელეგატებისთვის სასადილოები და საცხოვრებელი ბინები. გამოყოფილია აგრეთვე სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა გამოიმუშავოს ანკეტა, დღიური წესრიგი და სამანდატო კომ-სის შემადგენლობა. სიეზდის საგამომცემლო განყოფილება აწარმოებს მთელ რიგ მოსამზადებელ სამუშაოებს. გამოცემულია მოწოდება, იბეჭდება ფურცლები. სახელმწიფო გამომცემლობამ გადასცა კომისიას მთელი რიგი ფურცლების, თათრულ, არაბულ და სპარსულ ენებზე.

კომისია თათრულ ენაზე ამზადებს: „რა არის ბალშევიზმი,“—„რ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუცია,“—რ. კ. პ. პროგრამა“—„ლენინის თეზისები ბურჟუაზიულ ბიუროკრატიაზე და პროლეტარიატის დიქტატურაზე“—„რა არის საბჭოთა ხელისუფლება და როგორ შენდება ის,“—„მე-III ინტერნაციონალი.“

# ვინაა გამარჯვებული?

სანამ საბჭოთა რუსეთი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სამშვიდობო ზავს შეკრავდენ ურთიერთშორის, მანამდის აქ, საქართველოში კომუნისტური ორგანიზაციები არსებობდენ არალეგალურად და მათი მოქმედება განისაზღვრებოდა უმთავრესათ დაბეჩავებული ხალხის შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოწოდებით არსებული წყობილების დასამხობათ.

მარა როგორც კი ზავის ჩამოგდება ფაქტი გახდა, იმ დღიდან კომუნისტებმა საქართველოში დაიწყეს მოქმედება ლეგალურათ და შეიარაღებულ აჯანყების პოზიციიდან გადავიდნენ წმინდა იდეურ ბრძოლის პოზიციაზე.

რაში მდგომარეობს იდეური ბრძოლა? იდეური ბრძოლა მდგომარეობს იმაში, რომ პარტია აწყობს სხვა და სხვა ადგილებში ორგანიზაციებს და ამასთანავე აჩალებს როგორც წერით, ისე ზეპირ სიტყვით დაბეჩავებული ხალხის ფართო მასსაში პარტიის პროგრამა-ტაქტიკის ახსნა-განმარტებას.

აი ორიოდე სიტყვით იდეური ბრძოლის ფორმა და შინაარსი. დასახელებულ მომენტიდან შეუდგენ მოქმედებას.

ნაყოფმაც არ დაიგვიანა: მოკლე ხანში მეტათ გამრავლდენ კომუნისტური ორგანიზაციები, აქ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ახალი პარტიის წევრების მიღების დროს ორგანიზაციები დიდ სიფთხილეს იჩენდენ.

მოკლე დროში კომუნისტური პარტიის ასეთ ზრდას, რა ლაპარაკი უნდა, კომუნისტების მოსისხლე მტრები ვერ შეურიგდებოდენ.

ამუშავდენ აგენტები და რაც ცოცხალი, მოძრავი და ენერგიული იყო კომუნისტურ პარტიისა ყველას ციხეებში ამოაყოფინეს თავი.

დაპატიმრებულ კომუნისტებს სხვა და სხვა ნაირი ბრალდება წაუყენეს: აგიტაცია გვარდიელებში, აგიტაცია დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, აგიტაცია ჯარის კაცებში, აგიტაცია შეიარაღებული აჯანყების სასარგებლოთ, იარაღის შეძენა და სხვა ასეთები.

როგორც ხედავს მკითხველი ბრალდება თავზე საყრელად ყოფილა.

მარა ეს მხოლოდ ბრალდებაა, საჭირო იყო მისი დამტკიცება, და ამიტომ უნდა გვეფიქრა, რომ დაპატიმრებულ კომუნისტებს დაუყოვნებლივ მისცემენ სამართალში, სადაც მათ დანაშაულობას დაუმტკიცებდენ.

მარა ეს ასე არ მოხდა.

ამიტომ დაჭერილმა კომუნისტებმა არა ერთი და ორი განცხადება გაუგზავნეს სადაც ჯერ არს, რომ მათ შესახებ მომხდარიყო მკაცრი გამოძიება და გამოძიება გადასცემოდა სასამართლოს, სადაც ისინი პასუხს აგებდენ მიუხედავათ სასჯელის სიმკაცრისა.

არც ამ დაჟინებითი განცხადებებს მიაქციეს ყურადღება.

გასაოცარი მოვლენის მოწამენი ვართ: „დამნაშავენი" მოითხოვენ მათ გასამართლებას, და მათ კი არავინ ასამართლებს!

რადგანაც არ გასჭრა დაპატიმრებული კომუნისტების ამ ნაბიჯმა, მაშინ საჭირო იყო სხვა ზომა, ზომა უკიდურესათ საშინელი და საშიშარი თვით იმათთვის, ვინც მას ხმარობს,—შიმშილით გაფიცვა!

შიმშილით გაფიცვის დაწყებამდე კიდევ სცადეს პატიმარ-კომუნისტებმა და მთავრობის თავმჯდომარეს კოლექტიური განცხადებით მიმართეს: ამა და ამ ვადაში ან გადაეცით ჩვენი საქმე სასამართლოს, სადაც შეგვეძლებათ ჩვენი დანაშაულობა დაგვიმტკიცოთ, ან და გაგვანთავისუფლეთ ციხიდან, როგორც უდანაშაულონი.

არც ამ განცხადებაზე იქნა პასუხი მიცემული,

ამიტომ 4 და 5 აგვისტოს შიმშილით გაფიცვა გამოცხადდა ქუთაისის და თბილისის ციხეებში. შიმშილით გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა კომუნისტმა.

200 დაპატიმრებული კომუნისტი, რომელთაც ბრალდებათ „სერიოზული" დანაშაულობა" მთავრობის აგენტების განცხადებით, მოითხოვენ დაჟინებით, რომ მათი საქმე დაუყოვნებლივ იქნეს გადაცემული სასამართლოზე.

ამ თავიანთ მოთხოვნას ადასტურებენ ერთსულოვანი გაფიცვით.

ნუ თუ კომუნისტების მტრებმა დემოკრატიული საქართველოს ტერიტორიაზე ვერ გამონახეს პროკურორი ვიმპერი, ვექილი შმიკოვი და განსწავლული პრონატიოსი (გაიხსენეთ ბეილისის პროცესი)?

ახლა ყველასათვის აშკარაა, რომ დაჭერილ კომუნისტების წინააღმდეგ არავითარი საბუთები არ მოეპოვებათ მტრებს.

კომუნისტები დაჭერილნი არიან მხოლოდ იმიტომ რომ ისინი კომუნისტები არიან,

აი როგორ ესმით ბ.ბ. მენშევიკებს იდეური ბრძოლა"!

ეს კარგათ უნდა დაიმახსოვნოს ყველა იმათ, ვის ინტერესსაც იცავს კომუნისტური პარტია, დაპატიმრებული კომუნისტებმა თავიანთი შიმშილის გაფიცვით ერთი ათად აამაღლეს კომუნისტური პარტია და დაამტკიცეს მისი სიძლიერე, მიუხედავათ გაზეთ „ერთობის" (იხ. № 178) მტკიცების, რომ „ეს სიმშილობა მაჩვენებელია ისევ ბოლშევიკური პარტიის იდეური სისუსტის"-ო.

როგორც არ უნდა დასრულდეს პატიმარ კომუნისტების შიმშილით გაფიცვა, გამარჯვება, და ისიც ბრწყინვალე, მაინც მათ მხარეზეა, რადგან იმ ასპარეზზე, რომელზედაც კომუნისტებმა გამოიწვიეს მოწინააღმდეგენი, მოსჩანან მხოლოდ და მარტო კომუნისტები.

მუშა კოწია.

# მუშათა წერილები

**უკანასკნელი პასუხი ხელზე მოსამსახურეთა კავშირის მდივანს ლეჟავას.**

თქვენმა წერილმა, რომელიც „ერთობის" 161 ნომერში იყო მოთავსებული, სწორეთ რომ შებრალება გამოიწვია ჩემში, ვინაიდან აღნიშნული წერილი სავსეა კომუნისტების და კომუნისტური რევოლიუციის ლანძღვა-გინებით და არც ერთი სიტყვა არ არის, რომელიც ჩემი წერილის პასუხათ შეიძლებოდეს ჩათვლა, ჩემს წერილში ნათლად იყო აღნიშნული გამგეობის უმოქმედობა და დანაშაულობა. სად არის თქვენს წერილში ამისი რაიმე გასაბათილებელი საბუთი? არ არის, ვინაიდან არ შეგიძლიათ თავი იმართლოთ თქვენ, ლანძღვა-გინებაზე კი მე პასუხს არ გაგცემ. დეე, მკითხველმა თითონ განსაჯოს, თუ რის მომასწავებელია ყველა ეს ლანძღვა გინება. ვიტყვი მხოლოთ, რომ ტყუილათ იმოწმებთ დელეგატთა ყრილობას, ვინაიდან ნუ დაივიწყებთ იმ უნდობლობას, რომელიც თქვენ იმ სხდომაზე იმავე ყრილობამ გამოგიცხადათ, რის შემდეგ გადადგომაც კი მოინდომეთ, მაგრამ ამის უფლება თქვენ არ მოგცეს და გითხრეს, რომ თქვენ, როგორც საზოგადო კრების მიერ არჩეული, მის წინაშე უნდა აგოთ პასუხიო. ამით ვსწყვეთ მე თქვენთან კამათს. ვინაიდან ესეც მეტია თქვენს პასუხზე.

ალ. ალავიძე.

**მენშევიკებს.**

ვიცი, ჩვენთვის განა ერთხელ
გისროლიათ ტყვია, ლოდი,
მაგრამ მაინც თქვენ საქციელს,
უნდა გავტყდე, არ ველოდი.

თავისუფლება, სიცოცხლე,
მარტო თქვენ გინდათ სხვას არა?
ფეხქვეშ ნუ სთელავთ სიმართლეს,
ნუ გახდით ქვეყნის მასხარა!

დაასაბუთეთ ბრალდება,
არ კმარა მარტო ჭორები,
რას განაბულხართ? ნუ გახდით
ჯიუტნი ვითა ჯორები.

თუ არა გქეჯნით სინდისი,
სადღა დაკარგეთ სირცხვილი?
გონს მოდით! ტყვეებს მიხედით!
აშორეთ ბედშავთ სიკვდილი.

გაალეთ ციხის კარები,
რისთვისა სტანჯავთ არწივებს?
გაუშვით, გაინავარდონ,
შეეთამაშონ მზის სხივებს!

თავისუფლება, სიცოცხლე,
მარტო თქვენ გინდათ სხვას არა?
ფეხთ ქვეშ ნუ სთელავთ სიმართლეს,
ნუ გახდით ქვეყნის მასხარა!

იბოლა.

# პარტიული ცხოვრება.

**სამტრედიის რაიონი.**

6 აგვისტოს შესდგა რაიონული კომიტეტის ინიციატივით ძირითადი ორგანიზაციების სარაიონო დელეგატთა კრება (იაჩეკების) წარმომადგენლებისაგან. დღიური წესრიგი იყო შემდეგი: 1) მოხსენებები რაიონული კომ. პრეზიდიუმისა და იაჩეკების წარმომადგენლების ადგილებიდან, 2) კომუნისტ პატიმართა შიმშილობის გამოცხადება საქ. დემ. რესპუბლიკის ციხეებში 4—5 აგვისტოდან, 3) სარაიონო სარევიზიო კომისიის არჩევა, 4) ივნისის და ივლისის შემოსავალ-გასავლის ანგარიშების განხილვა სარევიზიო კომისიის მიერ და მისი შემოწმება, 5) კომიტეტის ერთი წევრის არჩევა გამოკლებული ამხანაგის მაგიერ' და 6) მიმდინარე კითხვები. კრებამ მწყობრათ ჩაიარა და განხილულ იქნა ყველა საკითხები. ცხარე კამათი და აღშფოთება გამოიწვია მეორე საკითხმა. ამის შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: საქართველოს კომ. პარ. სამტრედიის რაიონის ორგანიზაციის იაჩეკების დელეგატთა კრება გულწრფელი თანაგრძნობას უცხადებს შიმშილით გაფიცულ ამხანაგებს საქ. დემოკრატიული რესპუბლიკის ციხეებში და მოითხოვს მათი მოთხოვნილებების დაუყონებლივ დაკმაყოფილებას. სალამი თქვენ! თავგანწირულნო მებრძოლნო კომუნისტური იდეიისათვის!

გაუმარჯოს შეუპოვარ მებრძოლთ კომინიზმისთვის!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

კ—ლი.

**ფ ო თ ი.**

3 აგვისტოს შესდგა ფოთის კომიტეტის კრება. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვების მოხსენება საგუბკომიდგან, 2) მოხსენება ადგილებიდგან' 3) ლიტერატურის გავრცელება, 4) ანგარიშები, 5) პასუხისმგებელ კორესპონდენტის არჩევა.

პირველი კითხვის შესახებ ამხანაგმა გააკეთა მოხსენება სადაც სხვათა შორის აღნიშნა, რომ ჩვენ მიუხედავათ ყოველ გვარ რეპრესიებისა უნდა ვიმუშაოთ ლეგალურად უკანასკნელ შესაძლებამდეო.

მეორე კითხვის შესახებ გამოირკვა, რომ რეპრესიებმა დიდათ შეუშალა ხელი მუშაობას, მაგრამ რეგისტრაცია მაინც დამთავრებულია და გრძელდება ახლების მიღება.

მესამე კითხვის შესახებ დაევალა პრეზიდიუმს იმუშაოს ენერგიულათ და დაიხმაროს ყველა პარტიის წევრები.

მეოთხე კითხვის შესახებ კრებამ დაადგინა: რადგანაც რეპრესიებმა არია ანგარიში ლიტერატურის შესახებ, ჯერჯერობით გაიგზავნოს გაზეთის ფული რამდენიც მოსახერხებელია და სხვა...

დასასრულ არჩეულ იქმნა პასუხის მგებელი კორესპონდენტი.

Yita.

# მ უ შ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა.

ლითონზე მომუშავეთა კრებამ გამოიტანა დადგენილება: დაარსდეს ქ. თბილისში გაერთიანებული მუშათა კოოპერატივი, რომელიც გააუმჯობესებს მუშების ეკონომიურ მდგომარეობას.

—

ვინაიდან ახლო მომავალში მოხდება სექციებათ დაყოფა ლითონზე მომუშავეთა კავშირის, ამიტომ დადგენილია დათხოვილ მოსამსახურეებს მიეცეთ საერთო კასიდან ჯამაგირი და სალიკვიდაციო ფული 1 ოქტომბრამდის. ამ კავშირის ქონების და კასის გაყოფა დაიწყება 15 აგვისტოდან.

—

**შეგირდის ხელფასი.**

შეგირდის ხელფასი განისაზღვრება 6 საათის სამუშაო დღის ანგარიშით. ქ. თბილისის ზოგიერთმა კავშირებმა მიმართეს თხოვნით შრომის სეკრეტარიატს და სატარიფო პალატას, რომ მათ ხელფასი ეძლეოდეს 8 საათის ანგარიშით, ან მათი ჯამაგირები გადიდებულ იქმნას ერთი-მესამედით.

—

ლითონზე მომუშავეთა კავშირის ტეხნიკურმა კომისიამ საჭიროთ სცნო გადიდებულ იქმნას სეილანოვის (დიდუბეში) ელექტრო-სადგურის მუშების შტატი. კავშირმა არა ერთხელ მისცა სეილანოვს წინადადება მოეყვანა სისრულეში კავშირის დადგენილება შტატის გადიდების შესახებ, მაგრამ სეილანოვი გაჯიუტდა და არ შეასრულა კავშირის დადგენილება.

ამ დღეებში კავშირმა გამოიწვია სეილანოვი და კატეგორიულად მოსთხოვა მას კიდევ ორი მუშის მიღება, ურომლისოდ არსებული მუშების შტატი ვერ შესძლებს მუშაობის გაგრძელებას.

—

სახალხო უნივერსიტეტთან არსებული დრამატიული წრე განიცდის დიდ ეკონომიურ გაჭირვებას. ამიტომ ყველა კავშირებში შემოვიდა თხოვნა, რომ აღმოუჩინონ წრეს დახმარება.

—

**სამხედრო შკოლის მუშები.**

ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობა გაკვირვებას გამოსთქვამს შრომის სამინისტროს დადგენილებაზე, რომ ლითონზე მომუშავეთა კავშირის კოლექტიური ხელშეკრულება არ გავრცელდება სამხედრო შკოლასთან არსებულ ელექტრო-სადგურის მუშებზე. როგორც მუშების ისე გამგეობისთვის ეს დადგენილება მოულოდნელი იყო. გამგეობა სთხოვს შრომის სეკრეტარიატს დაიცვას სამხედრო შკოლის მუშების ინტერესები კოლექტიური ხელშეკრულების მათზე გავრცელებით. თუ ეს თხოვნა არ იქნება სისრულეში მოყვანილი, იმ შემთხვევაში კავშირი მოხსნის აღნიშნულ ყველა მუშებს ადგილიდან და გადაიყვანს მათ სხვა დაწესებულებაში სამუშავოთ.

—

ადამოვის ელექტრო-სადგურის მუშები დაითხოვეს სამსახურიდან კავშირის ნება-დაურთველათ.

—

**შრომის ბირჟა.**

შრომის ბირჟაში არ არის დაცული სამუშაოზე გაგზავნის წეს-რიგი. მაგალითათ: ახალი ჩაწერილი მუშები იგზავნებიან სამუშაოზე და ძველი კანდიტატები კი უსაქმოდ არიან დარჩენილი. მუშებს იღებენ პროტექციით რაც არ არის მოსაწონი დემოკრატიულ საქართველოში. პირველათ შრომის ბირჟაში ჩაწერილი მუშები მოითხოვენ დაცულ იქნას წეს-რიგი.

## შეცდომების გასწორება.

გუშინდელ ნომერში „ნ. გ."-ს წერილში 2 გვ. 1 სვეტის ბოლოში შეცთომით ფელეტონის სტრიქონია დართული: „პარტიის ცე-კას ბროშურის ავტორი ბრალს სდებს იმაში, რომ ეს ცეკა იმის," —რაიც წერ. შინაარს სრულიად არ შეეფერება.

ხოლო ფელეტ. 1 სვეტ. ეს სტრიქ. აკლია და მით წინადადება ძალზეა დამახინჯებული. 1 სვეტ. 25 სტ. ქვემოთ უნდა იყოს: ვინ უნდა იყოს დიქტატურის მატარებელი: კომუნისტური პარტ. თუ პროლეტარული კლასი?!!— შემდეგ გერმანიის კომ. პარტიის „ცეკას" ბროშურის ავტორი ბრალს სდებს იმაში, რომ ეს ცეკა იმის ძებნაშია, რომ კოალიციით შეეკრას გერმანიის დამოუკიდებელ ს.-დ. პარტიას" და სხ.

დრ. რედაქტორი:
დიმიტრი ჯორბენაძე.

ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ო!

წაიკითხეთ და გაავრცელეთ ახალი ბროშურები:

1. ნ. ლენინი და ზინოვიევი. „ინტერნაციონალი მომაკვდავი და ინტერნაციონალი ამომავალი.
2. მ. კასპიელი. „ვინ სტყუის?" (ბ. ს. დევდარიანის მკითხველების საყურადღებოთ).

# უ წ ყ ე ბ ა ნ ი.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

**ამხანაგების საყურადღებოთ!**

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსთაველის სადგომში, მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო** დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135. სადაც ჰელხანოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამობით 5—7 ნახ. საათამდე.

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულია კალისტე ებრალიძის შენობაში (მუშათა უბანში), აქვე მოთავსებულია დროებითი გურიის კომიტეტი საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური პარტიისა.

**რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.**

საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურო დროებით მოთავსებულია ნოვო-ბებუთოვის ქ. № 11 (Ново Бебутовская ул. № 11) მდივანი იღებს 11—1 ს.

# განცხადება

ამით ვაცნობებთ ქ. ბათუმის და ბათუმის ოლქის ყველა პარტიულ ამხანაგებს, მუშებს და გლეხებს, რომ 1 აგვისტოდან გაიხსნა ქ. ბათუმში საქართველოს კომუნისტურ პარტიის ბათუმის ბიურო, სადაც მოხდება ამხანაგების რეგისტრაცია და ახალი წევრების ჩაწერა პარტიაში.

ბიურო მოთავსებულია ერისთავის ქ. № 4, კილფის საკინძავი სახელოსნო.

გაღებულია დილის 9 საათიდან—12 საათამდე და საღ. 5 საათ.—8 საათამ.

**საქართ, კომუნისტური პარტიის ბათუმის კომიტეტი.**

# ორგანიზაციების საყურადღებოთ!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საწყობში არის შემდეგი გამოცემები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიკითხონ კომიტეტის სადგომში—ტფილისი, პასკევიჩის ქ. № 3.

1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილისში და დადგენილება მიწის შესახებ.
2. კომუნისტური პარტიის მანიფესტი.
3. საბჭოთა რესპუბლიკა.
4. კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.
5. ვლ. როზანოვი—იმპერიალიზმი.
6. კავკასიის მშრომელ მასსას.
7. მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი.
8. ლენინის მოხსენება და სიტყვა მე-3 საბჭოთა ყრილობაზე.
9. ნ. ლენინი—სახელმწიფო და რევოლიუცია.
10. კობა (სტალინ) ჯუღაშვილი—დიალექტიური მატერიალიზმი.
11. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი.
12. ნ. ბუხარინი—პროგრამა კომუნისტებისა (ბოლშევიკების).
13. პარტიული წესდება.

სტამბა „ეკონომია" დიდი ვანქის ქ. № 3.